



## თქვენი ვებ-გვერდისთვის დამხმარე მასალების მაგალითი

აქ მოცემულია იმის მაგალითი, თუ როგორ შეგიძლიათ აუხსნათ SCA თქვენს მომხმარებლებს/მყიდველებს თქვენი ბიზნესის ვებ-გვერდზე, როგორცაა ხშირად დასმული შეკითხვების ვებ-გვერდი ან სექცია, დახმარების გვერდი და ა.შ.



## მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მონოდებულია „როგორც არის“ და განკუთვნილია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის; ის არ უნდა იქნას გამოყენებული ოპერაციული, მარკეტინგული, იურიდიული, ტექნიკური, ფინანსური, საგადასახადო ან სხვა საკითხებში რჩევის მისაღებად. თქვენ უნდა გაიაროთ კონსულტაცია თქვენს იურიდიულ მრჩეველთან, რათა განსაზღვროთ, რომელი კანონები და რეგულაციების შეიძლება ვრცელდებოდეს თქვენს სპეციფიკურ გარემოებებზე. ნებისმიერი რეკომენდაციის ან პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული რეალური ხარჯები, დანაზოგები და სარგებელი შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტულად თქვენი ბიზნესის საჭიროებების და პროგრამის მოთხოვნების მიხედვით. საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, რეკომენდაციები არ იძლევა მომავალი პერფორმანსის ან შედეგების გარანტიას და ექვემდებარება რისკებს, გაურკვევლობებსა და დაშვებებს, რომელთა პროგნოზირება ან რაოდენობრივი შეფასება რთულია. Visa არ აგებს პასუხს თქვენს მიერ აქ მოცემული ინფორმაციის გამოყენებაზე (მათ შორის, ნებისმიერ შეცდომაზე, გამოცოცხებაზე, უზუსტობაზე ან ნებისმიერი სახის არა დროულობაზე) ან თქვენს მიერ მოცემული ინფორმაციის გამოყენებით გაკეთებულ დაშვებებსა და დასკვნებზე. Visa არ იძლევა არანაირ გარანტიას, პირდაპირს თუ ნაგულისხმევს, და კატეგორიულად უარყოფს გარანტიებს გასაყიდად ვარგისიანობაზე ან კონკრეტული მიზნისთვის შესაბამისობაზე, აგრეთვე ნებისმიერ გარანტიას ნებისმიერი შესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არდარღვევის შესახებ. ადგილობრივი კანონმდებლობით ნებადართულ ფარგლებში, Visa არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის ან ნებისმიერი შესამე მხარის წინაშე ნებისმიერ ზარალზე არცერთი სამართლებრივი თეორიის მიხედვით, მათ შორის (და არა მხოლოდ) ნებისმიერ განსაკუთრებულ, არაპირდაპირ, შემთხვევით ან სადამსჯელო ზარალზე, არც ბიზნესის მოგების დაკარგვაზე, ბიზნესის შეჩერებაზე, ბიზნესის ინფორმაციის დაკარგვაზე ან სხვა ფინანსურ ზარალზე, თუნდაც ამგვარი ზარალის შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებული იყოს.

როგორც ევოლუციური ეკოსისტემის ახალი მარეგულირებელი ჩარჩო, SCA-ს მოთხოვნები ჯერ კიდევ საჭიროებს დაზუსტებას გამოყენების ზოგიერთ შემთხვევაში. მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს Visa-ს მოსაზრებების ევოლუციას, მაგრამ არ უნდა იყოს მიჩნეული, როგორც საბოლოო პოზიცია ან იურიდიული რჩევა და ის ექვემდებარება ცვლილებას შესაბამისი ორგანოების მითითებებისა და განმარტებების შესაბამისად. Visa იცოვებს უფლებას გადახედოს მოცემულ დოკუმენტს შემდგომი მარეგულირებელი განვითარების მოლოდინში.

# ჩვენ ვსარგებლობთ Visa Secure-ით ყველა ჩვენი გადახდის შემთხვევაში

Visa Secure წარმოადგენს ტექნოლოგიას, რომელსაც ბანკები იყენებენ ონლაინ სივრცეში თქვენი გადახდებისთვის გაძლიერებული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. როდესაც ხედავთ „Visa Secure“, შეგიძლიათ, დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენი ტრანზაქცია უსაფრთხოების მრავალჯერადი შრით არის დაცული.

## როგორ მუშაობს?

ყოველ ჯერზე, როცა გადახდას დააპირებთ, შეიძლება დაგჭირდეთ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, რათა დაადასტუროთ, რომ Visa ბარათის ნამდვილი მფლობელი ხართ. ეს შეიძლება იყოს სელფი, თითის ანაბეჭდი, SMS კოდი და ა.შ. ეს გააძლიერებს თქვენს ნდობას Visa ბარათებით გადახდის უსაფრთხოების მიმართ. იმისთვის, რომ გაიგოთ, როგორ ისარგებლოთ უსაფრთხოების ამ დამატებითი საშუალებით, დაუკავშირდით თქვენი Visa ბარათის ემიტენტ ბანკს.

## როგორ შეიცვლება ონლაინ გადახდები SCA-ს შემოღების შემდეგ

(თარიღიდან), თქვენ მოგიწევთ ორფაქტორიანი ავთენტიფიკაციის უსაფრთხოების დამატებითი პროცედურის გავლა, რათა დაადასტუროთ თქვენი ვინაობა გადახდისას.

## ორფაქტორიანი ავთენტიფიკაცია წარმოადგენს გადახდის დაცვის მეთოდს, რომელიც იყენებს მინიმუმ ორ ფაქტორს განსხვავებული კატეგორიებიდან:

**ცოდნა -**  
მაგალითად,  
პაროლი;

**ფლობა -**  
მაგალითად,  
მობილური  
ტელეფონი ან სხვა  
მონყობილობა;

**თანდაყოლილი -**  
მაგალითად, თვალის  
სკანირება, სახის  
ამოცნობა ან თითი  
ანაბეჭდი.

თქვენმა ბანკმა უნდა გაგაცნოთ როგორ მუშაობს ორფაქტორიანი ავთენტიფიკაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ თქვენს ბანკს.

## დაურთეთ ეს სექცია, თუ თქვენი ბიზნესი მომხმარებელს სთავაზობს გამონერას ან განმეორებით გადახდას:

თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ ახალი გამონერის ან განმეორებით გადახდის ხელშეკრულების დადების დადასტურება. შემდგომი გადახდები და არსებული გამონერები არ საჭიროებს ორფაქტორიან ავთენტიფიკაციას, თუმცა ავთენტიფიკაცია შეიძლება საჭირო გახდეს, თუ თქვენ შეცვლით თქვენს წინა გამონერის ხელშეკრულებას.